## ხელშეკრულება №82/1

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (მომსახურების შესყიდვა)

14 ივნისი 2016 წელი

ქ. გორი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთისმხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულიპირი – გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი (შემდგომში – შემსყიდველი) **მისი დირექტორის გულნარა ბზიშვილის სახით (ს/კ 417883044)** და მეორეს მხრივ ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი (შემდგომში მიმწოდებელი), მისი დირექტრი ვლადიმირ შუღლიაშვილის სახით (ს/კოდი 417883035) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების საგანია: (CPV70200000) - კერძო საკუთრების იჯარა ან ლიზინგი (დარბაზის ქირავნობა) ფესტივალი, „ქართული ფესვების" ჩასატარებლად, რომელიც გაიმართება 15 ივნისს, 14 საათიდან -16 საათამდე . მომსახურებების შესყიდვა.

### 2. შესყიდვების ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია: (CPV70200000) - კერძო საკუთრების იჯარა ან ლიზინგი (დარბაზის ქირავნობა) მომსახურებების შესყიდვა.

### 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში

3.2 **შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს** - 500 ( ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარი.

### 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

### 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება მოთხოვნის გაკეთებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, „მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები)

### 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

### 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით თანხის მომწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე გადარიცხვით.

7.3 ანგარიშწორება „შემსყიდველის" მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდე გ არაუმეტეს 30 (ოცდაათი) საბანკო დღის ვადაში.

### 8.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს:-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

8.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:-მოახდინოს ანგარიშწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვლისწინებული პირობების შესაბამისად –უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს: - მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია: მიაწოდოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტი მოთხოვნის გაკეთებიდან არაუგვიანეს 10 დღისა - დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

### 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის

9.1მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შსაბამისად.

9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდება რეხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეძლია დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალა ქოკოდექსით დადგენილი წესები.

### 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მისი ხელისმოწერის დღიდან 40 (ორმოცი)კალენდარული დღის ვადით.

### 11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 წინამდება რეხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია. თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებების პირობების მათ შორის ფასის შეცვლა თუ ამ ცვლილებების შედეგად იცვლება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### 12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილებრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრუელბის შესრულებაზე.

12.2 თუ სახელშეკრულეებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

### 13. დავები და მათიგადაწყვეტისწესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 შეთანხმებისმიუღწევლობისშემთხვევაშიმხარეებიმიმართავენსასამართლოსსაქართველოსკანონმდებლობისშესაბამისად.

### 14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარარელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის დირექტორი. (გულნარა ბზიშვილი).

14.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელსაყრელ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *15. სხვა პირობები*

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიაანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## *16. მხარეთაიურიდიულიმისამართები და რეკვიზიტები*

შემსყიდველი:

ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის

კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი

ს/კ 417883044

მის: ქ.გორი მშვიდობის გამზ. 12/ა

საბანკო რეკვ.: ს.ს. "სახელმწიფო ხაზინა"

ა/ნ 749193459

შემსყიდველი: გ. ბზიშვილი

მიმწოდებელი:

ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის

მერიის მოსწავლე-ახალგაზრდობის

კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი

მის: ქ. გორი, მშვიდობის №12ა

ს/კოდი 417883035

საბანკო რეკვ.: ს.ს. "სახელმწიფო ხაზინა"

ა/ნ 741027019

მომწოდებელი: ვ. შუღლიაშვილი